მერი ერგნელი

საქართველოს დამსახურებული არტისტი მერი ერგნელი (ყიასაშვილი-ხერხეულიძე) დაიბადა თბილისში 1908 წელს. სწავლობდა თბილისის მე-3 ქალთა გიმნაზიაში, რომელიც მამის გარდაცვალების გამო ვერ დაამთავრა. 1922 წელს სასწავლებლად საქართველოს პროლეტკულტურის დრამატულ სტუდიაში შევიდა, რომელიც 1925 წელს დაასრულა. ჯერ კიდევ სტუდიაში სწავლის პერიოდში, 1924 წელს მუშაობდა „წითელ თეატრში“, 1926-1927 წლის სეზონში თბილისის მუშათა თეატრში, 1927-1928 წლებში კი ქუთაისის აკადემიურ თეატრში. 1928 წელს მიიწვიეს მსახიობად ახლად გახსნილ თბილისის მოზაედ მაყურებელთა ქართულ თეატრში.

მ. ერგნელს ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე, მრავალი საინტერესო სახასიათო როლი აქვს შექმნილი. იგი წლების მანძილზე იყო თეატრის წამყვანი მსახიობი და ასრულებდა სხვადასხვა ჟანრის როლებს. მათ შორის აღსანიშნავია ტურფა - „პატარა კახი“, თიმსალმაკო - „ბაში-აჩუკი“, სალომე - „სურამის ციხე“, ელო - „ლადო კეცხოველი“, იბრუხტი - „ნაცარქექია“, სალომე - „სამი ამხანაგი“, ბაბალე - „ქაჯანა“, მერი - „ხალხის რჩეული“, სირინოზი - „ტირიფის ქვეშ“, პროხოროვნა - „ჩვენი ახალგაზრდობა“, ნადეჟდა ივანოვნა - „წითელი ყელსახვევი“, დედოფალი - „ბროლის სასახლე“, მელია - „ზამთრის ზღაპარი“, კუკუშკინა - „შემოსავლიანი ადგილი, მაჭანკალი - „ ქორწინება“ და სხვა.

მ. ერგნელს 1950 წლის 30 ოქტომბერს მიენიჭა საქართველოს დამსახურეული არტისტის, ხოლო 1979 წელს, კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. დაჯილდოებული იყო მედლებით - „კავკასიის დაცვისთვის“ 1945 წელს, „მამაცური შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წწ“.“1946 წელს, სახალხო განათლების წარჩინებული“ სამკერდე ნიშნით, რამდენიმე საპატიო სიგელითა და მადლობებით.

მ. ერგნელი 1991 წლის 19 მაისს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მერი ერგნელის (ყიასაშვილი-ხერხეულიძე) ბიოგრაფიული, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექციის მიერ გაცემული ბრძანება, ვარდოს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „სურამის ციხე“ მერი ერგნელისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ.
   1943 წ. 25 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

2. ერგნელის დახასიათება გაცემული მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექციის მიერ .
   1949 წ. 29 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

3. მერი ერგნელის შემოქმედებითი მუშაობის აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1950 წ. 28 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

4. მერი ერგნელის საპატიო სიგელი გაცემული საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
   1951 წ. 9 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

5. მერი ერგნელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1954 წ. 24 თებერვალი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ერთვის ფოტო. 4 გვ.

6. მერი ერგნელის ავტობიოგრაფია.
   1954 წ. 19 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

7. მერი ერგნელის საკვალიფიკაციო ფურცელი.
   1954 წ. 15 ივლისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 4 გვ.

8. მერი ერგნელის შემოქმედებითი საღამოს სტენოგრამა.
   პირი: აკაკი ხორავა, ნიკო შიუკაშვილი, ვასილ ბარნოვი, ალექსი ყიასაშვილი, თამარ ბაქრაძე, ალექსანდრე გომელაური, ბორის გამრეკელი, ზურაბ კაშია, თინა კაკუშაძე, ც. მიქაძე, აკაკი ფაღავა, ა. ღვინიაშვილი, ალ. თაბორიძე, შ. ნარსია, როდიონ ქორქია, მ. კიკვაძე.
   1958 წ. 21 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 18 გვ.

9. მერი ერგნელის ავტობიოგრაფია.
   უთარიღო. ნაბეჭდი. 4 გვ.

10. მერი ერგნელის ავტობიოგრაფია.
    უთარიღო. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 გვ.

11. მერი ერგნელის ბიოგრაფია.
    უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

12. მერი ერგნელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
    უთარიღო. თბილისი. სტამბური. ხელით შევსებული. შავი მელანი. 4 გვ.

13. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ გაცემული ცნობა, მერი ერგნელის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
    უთარიღო. სტამბური. ხელით შევსებული. ხელს აწერს -ე. გვარამაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

14. მერი ერგნელის მოწმობა საქართველოს პოლეტკულტურის დრამატული სტუდიის დამთავრების შესახებ.
    უთარიღო. ხელნაწერი. შავი და ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

15. მერი ერგნელის მიერ შესრულებული როლების სია.
    უთარიღო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. 5 გვ.

16. უცნობი ავტორის ჩანაწერი - „მერი ერგნელის“ შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
    უთარიღო. ხელნაწერი. არასრული. მელანი. 4 გვ.